

მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ

ავტორები: ნანო პაჭკორია, მელანო ბერიძე

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: n.patchkoria14@gmail.com

Melanoberidze2000@gmail.com

სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და

სამომავლო პერსპექტივები”

23-24 დეკემბერი, 2020

აბსტრაქტი

ნატო-საქართველოს ურთიერთობები ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ქართულ საზოგადოებაში. ჩვენს ქვეყანას ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მრავალწლიანი ისტორია აქვს. საქართველო 1992 წელს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი გახდა და სწორედ ამ დროიდან დაიწყო ჩვენი ქვეყნის სწრაფვა სამხედრო ალიანსისკენ. საქართველომ, როგორც სამხრეთ კავკასიის პოსტ-საბჭოთა ქვეყანამ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დემოკრატიზაციის, თავდაცვისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის კუთხით. ეს ნაბიჯები კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივას.

დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ეს საკითხი კვლავაც აქტუალურია, ვინაიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების გარანტს.

საკვლევი პრობლემის სახით, გვსურს გავიგოთ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოში ინტეგრაციის მიმართ. ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის დავისახეთ მიზანი, რომელიც გულისხმობს ქართველი ახალგაზრდების განწყობების შესწავლას ნატოში ინტეგრაციისა და ამ პროცესის მხარდაჭერის შესახებ.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდებმა. ამ შერჩევის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ საქართველოში გაიზარდნენ. შესაბამისად, მათი ხედვა, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობასთან მიმართებით და ასევე, საზოგადოების მომავალი განვითარების კუთხით, შედარებით მოდერნული, პროგრესული და განსხვავებულია.

მიზნის განსახორციელებლად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

1. შევისწავლოთ, ახალგაზრდების მოლოდინები საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შემდგომ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ;
2. ვიკვლიოთ, რა განწყობები აქვთ ახალგაზრდებს ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პროგრამების ეფექტურ ფუნქციონირებაზე;
3. შევისწავლოთ, ახალგაზრდების ხედვები საქართველოს სამხედრო ძალების ნატოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის შესახებ;
4. ვიკვლიოთ, რა მოლოდინები აქვთ ახალგაზრდებს ნატოში ინტეგრაციის შემდგომ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მხრივ.

პირველადი სოციოლოგიური მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებული იქნა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - ფოკუს ჯგუფი. ფოკუს ჯგუფის საშუალებით უშუალო ინტერაქციას დავამყარებთ რესპონდენტებთან, შევძლებთ არავერბალურ კომუნიკაციაზე დაკვირვებას, რესპონდენტების პასუხების დაზუსტებას და დამატებითი შეკითხვების დასმას; ფოკუს ჯგუფი საშუალებას მოგვცემს მდიდარი და დეტალური მონაცემები მოვიპოვოთ საკვლევი პრობლემის შესახებ.

შესავალი

ნატო-საქართველოს ურთიერთობები ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ქართულ საზოგადოებაში. ჩვენს ქვეყანას ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მრავალწლიანი ისტორია აქვს. საქართველო 1992 წელს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი გახდა და სწორედ ამ დროიდან დაიწყო სამხედრო ალიანსში გაწევრიანებისკენ სწრაფვა. საქართველომ, როგორც სამხრეთ კავკასიის პოსტ-საბჭოთა ქვეყანამ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დემოკრატიზაციის, თავდაცვისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის კუთხით.

აღსანიშნავია, ასევე, საქართველოს აქტიური მონაწილეობა ნატოს პროგრამებში. ის 1994 წელს ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“(PFP) წევრი გახდა, 1996 წლიდან კი უკვე აქტიურად ერთვებოდა ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

2002 წელს პრალაში გამართულ სამიტზე საქართველომ პირველად გააჟღერა ნატოში ინტეგრაციის სურვილი. ჩვენმა ქვეყანამ სწორედ ამ დროიდან დაიწყო მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ნატოში გაწევრიანების კუთხით. საქართველო 2002 წელს გახდა ალიანსის პირველი პარტნიორი ქვეყანა. ამ სამიტის ფარგლებში, საქართველომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფორმატში ნატოს წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო. მის მიერ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ფორმატში აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების საფუძველზე, 2008 წელს გამართულ ბუქარესტის სამიტზე, ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო უნდა გამხდარიყო ნატოს წევრი ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ ბუქარესტის სამიტის დეკლარაცია და ალიანსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ გზავნილს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნისთვის.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხი ახალ ეტაპზე გადავიდა. 2008 წლის 19 აგვისტოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის შექმნის შესახებ, ხოლო იმავე წელს, დადგინდა, რომ საქართველო ამ კომისიის ფარგლებში განახორციელებდა ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამას, რომელიც აერთიანებს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: უსაფრთხოების პოლიტიკა, სამხედრო რეფორმა, ეკონომიკური განვითარება და სხვა. ამ ეტაპზე საქართველო ეროვნული პროგრამის VII ციკლს ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ნატოსგან ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში მუდმივად დადებით შეფასებას იღებს. ეს შეფასება გამოიხატა იმაში, რომ 2011 წლის 7 დეკემბერს, საგარეო საქმეთა მინისტრების

შეხვედრაზე, საქართველო მოიხსენიეს როგორც ასპირანტი სახელმწიფო, მონტენეგროსთან, ბოსნია და ჰერცეგოვინასთან და მაკედონიასთან ერთად. ამასთანავე, 2015 წლის ბოლოს, ბუქარესტის სამიტზე ნატოს წევრმა ქვეყნებმა პირველად, საჯაროდ დაადასტურეს, რომ საქართველო ნატოში ინტეგრაციის მოსამზადებელ ეტაპზეა.

რაც შეეხება დღევანდელ ნატო-საქართველოს ურთიერთობას, გრძელდება ინტენსიური, პრაქტიკული თანამშრომლობა. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მარტში, ნატო-საქართველოს რიგით მეორე სწავლების ფარგლებში საქართველოს ესტუმრა ნატოს გენერალური მდივანი, იენს სტოლტენბერგი და ნატო-ს სამხედრო კომიტეტი, ხოლო 2019 წლის შემოდგომაზე, საქართველომ უმასპინძლა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს. ეს კი მხარდაჭერის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

2020 წლის 29 სექტემბერს, ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა მოუწოდა საქართველოს რომ გამოიყენოს ყოველი შესაძლებლობა იმისთვის, რომ უფრო და უფრო დაუახლოვდეს ალიანსს და დააჩქაროს მზადება ალიანსში გაწევრიანებისთვის.

რაც შეეხება საქართველოში ნატო-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ჩატარებულ კვლევებს, ამ საკითხის კვლევა საკმაოდ აქტუალურია და მიზნად ისახავს დაადგინოს მოსახლეობის განწყობები ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიმართ.

უშუალოდ ამ კვლევის ფარგლებში, საკვლევ საკითხს წარმოადგენს მოსახლეობის, უფრო კონკრეტულად კი - ახალგაზრდების, დამოკიდებულებების შესწავლა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ. ამ საკვლევ საკითხის არჩევა განაპირობა მისმა აქტუალობამ და ნატოს როლმა ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით.

ლიტერატურის მიმოხილვა

მას შემდეგ, რაც საქართველომ გამოთქვა ნატოში გაწევრიანების სურვილი, სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოს-ნატოში ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა. ვინაიდან საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის შეუქცევადობის წინაპირობა და ერთგვარი გარანტი საზოგადოების არჩევანია, საინტერესოა შესაბამისი საზოგადოებრივი კვლევების განხილვა და მათი ანალიზი.

2013 წელს CRRC-ის (Caucasus Research Resource Center) საზოგადოებრივი აზრის კვლევის - „კავკასიის ბარომეტრი 2013“ წლის შედეგები ასე გამოიყურება: კითხვაზე, რამდენად უჭერთ მხარს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში? ნატოში ინტეგრაციის მხარდამჭერთა რაოდენობა შეადგენდა 58% .

იმავე კითხვაზე „კავკასიის ბარომეტრი 2015“-წლის შედეგების თანახმად, მხარდამჭერთა რაოდენობა შეადგენდა 38%-ს.

რაც შეეხება „კავკასიის ბარომეტრი-2017“ წლის შედეგებს, ნატოში ინტეგრაციის მხარდამჭერთა რაოდენობა იყო 41%.

გამოკითხულ რესპონდენტთა თქმით, მთავარი მიზეზი თუ რატომ არ უჭერენ მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, არის ის, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება, მათი თქმით, სარგებელს ვერ მოუტანს საქართველოს/ არაფრის მომცემი იქნება(51%),ამასთანავე, 16%-მა აღნიშნა, რომ ნატოში გაწევრიანება გამოიწვევს ურთიერთობის გაუარესებას რუსეთთან. რაც შეეხება ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერის მიზეზს, რესპონდენტთა აზრით, საქართველო მეტად იქნება დაცული საგარეო საფრთხისგან(33%).ამასთანავე, 21% აღნიშნავს, რომ ალიანსში ინტეგრაციით გაიზრდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი.

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და CRRC (Caucasus Research Resource Center) კვლევის შედეგების თანახმად, 2018 წლის მონაცემებით ნატოში

გაწევრიანებას მხარს უჭერს 78%, რომელიც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2013 წლიდან დღემდე. საქართველოში არსებულ მთავარ პრობლემებს, რომელსაც მოსახლეობა ხაზს უსვამს არის - კორუფცია, სასამართლო სისტემა, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, სიღარიბე და დასაქმების პრობლემა.

აღსანიშნავია, რომ ნატოს შესახებ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიებში საინტერესო მოსაზრებები იკვეთება. ნეორეალისტების აზრით, ნატო, როგორც სამხედრო ალიანსი, წარმოადგენს მასში შემავალ სახელმწიფოთა ინტერესებს: ებრძოლონ საერთო საფრთხეს და თავი დაიცვან საერთო მტრის შეტევებისგან.

რაც შეეხება ინსტიტუციური ლიბერალების მსოფლმხედველობას, მათ ლიბერალური ხედვა აქვთ. ისინი მიიჩნევენ, რომ კონფლიქტი და ომი არაა გარდაუვალი. მართალია, საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები, რომლებიც შეიძლება ისე მოქმედებდნენ როგორც „რაციონალური ეგოისტები“, თუმცა ისინი მაინც ერთიანდებიან თანამშრომლობისთვის სხვადასხვა ინსტიტუტსა და ორგანიზაციაში. ამდენად, ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოები ქმნიან „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ სისტემას, სადაც ისინი საერთო ფასეულობების საფუძველზე თანამშრომლობენ სამხედრო სფეროში.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, გამოვიყენეთ სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - ფოკუს ჯგუფი. კერძოდ, ჩავატარეთ 4 ფოკუს ჯგუფი, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 24 ადამიანს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები შეირჩნენ სხვადასხვა კრიტერიუმით: ასაკით, სოციალური აქტივიზმით. ასევე, შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო საკითხის სიღრმისეული ცოდნა, რაც გულისხმობს საკითხთან უშუალო კავშირს პროფესიული კუთხით.

ფოკუს ჯგუფის საშუალებით უშუალო ინტერაქცია დავამყარეთ რესპონდენტებთან, შევძელით არავერბალურ კომუნიკაციაზე დაკვირვება,

რესპონდენტების პასუხების დაზუსტება და დამატებითი შეკითხვების დასმა კონკრეტული საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით. ფოკუს ჯგუფმა საშუალება მოგვცა მდიდარი და დეტალური მონაცემები მოგვეპოვებინა საკვლევი პრობლემის შესახებ.

პირველადი მონაცემების მოპოვების შემდეგ აუდიო და ვიდეო ჩანაწერების საფუძველზე შეიქმნა ტრანსკრიპტები, რომელთა გასაანალიზებლად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი. ეს მეთოდი კვლევას დაეხმარა მონაცემების სისტემური სახით წარმოდგენაში.

ამის შემდეგ, კვლევამ გაიარა მონაცემთა ანალიზის შემდეგი ეტაპები:

- მონაცემთა კოდირება, რომელიც გულისხმობს ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებების დაკავშირებას იმ ცნებებთან, რაც კვლევის ანგარიშში იქნა წარმოდგენილი;
- მონაცემთა კატეგორიზაცია, რომელიც გულისხმობს ფოკუს-ჯგუფის მიმდინარეობისას განხილული მსგავსი თემატური საკითხების კომპილაციას;
- მონაცემთა ლოკალური ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს მასალის ორგანიზებასა და ინტეგრირებას ანგარიშის ცალკე სექციად;
- მონაცემთა ინკლუზიური ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს ცალკეული საკითხების ერთ ტექსტად გაერთიანებას.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის, კერძოდ ახალგაზრდების, (18-29 წწ), დამოკიდებულების შესწავლა ნატოში ინტეგრაციის მიმართ. შესაბამისად, კვლევის მიზნის განსახორციელებლად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- შეგვესწავლა მათი მოლოდინები საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შემდგომ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ;
- გვეკვლია, რა განწყობები აქვთ ახალგაზრდებს ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პროგრამების ეფექტურ ფუნქციონირებაზე;
- შეგვესწავლა, ახალგაზრდების ხედვები საქართველოს სამხედრო ძალების ნატოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის შესახებ;
- გვეკვლია, რა მოლოდინები აქვთ ახალგაზრდებს ნატოში ინტეგრაციის შემდგომ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მხრივ.

კვლევის შედეგები

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ახალგაზრდების დამოკიდებულებებისა და განწყობების შესწავლას ნატო-საქართველოს მიმართ. ფოკუსჯგუფის მსვლელობისას ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- ნატოს შესახებ ინფორმირებულობა და მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე
- ნატოს მიდგომები კონფლიქტის დარეგულირებასა და პრევენციაში
- ნატოს როლი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მშვიდობის ესკალაციისთვის
- ნატოს გამოწვევები 21-ე საუკუნეში
- შეხედულებები საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესახებ
- საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და გამოწვევები
- საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შემდეგ არსებული მოლოდინები ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით
- ნატოს პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა

- ნატოში ინტეგრაციის შემდეგ ქვეყნის თვითმყოფადობისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხი

ნატოს შესახებ ინფორმირებულობა და მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე

ფოკუს ჯგუფების დასაწყისში მონაწილეებმა ისაუბრეს ნატო-ს როლის შესახებ საერთაშორისო ასპარეზზე. მათი თქმით, ნატო სამხედრო ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც წლების მანძილზე იხვეწებოდა. თუ ადრე ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეიქმნა, თანამედროვე მსოფლიოში, მისი, როგორც სამხედრო ორგანიზაციის, მიზანი საერთაშორისო მშვიდობის დამყარება გახდა.

რესპონდენტების აზრით, ნატო-ს წევრ ქვეყნად ყოფნა დიდ უსაფრთხოებას გულისხმობს. ამ სიტყვების დამოწმების მიზნით, ისინი ადარებენ ახლა უკვე ნატოს წევრი ქვეყნების მდგომარეობას, მათ ადრინდელ პერიოდთან (იგულისხმება პერიოდი, როდესაც ისინი არ იყვნენ ნატო-ს წევრი ქვეყნები).

„დღემდე ნატო იცავს დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მქონე ქვეყნებს. ნატოში ისეთი პატარა ქვეყნები შედიან, რომ ადრე თუ მათ თავზე რუსეთი მარტივად გადაიფრენდა-გადმოიფრენდა, მას შემდეგ რაც ისინი ნატოს წევრები გახდნენ სიტუაციაც შეიცვალა, ახლა ისინი უფრო დაცულად გრძნობენ თავს“

(მამრობითი, 20 წლის, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი)

ნატოს მიდგომები კონფლიქტის დარეგულირებასა და პრევენციაში

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთი ცვლილება განიცადა, რათა ახალი გამოწვევების წინაშე სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება გახლავთ სამშვიდობო ოპერაციებსა და კრიზისების რეგულირების პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება, განურჩევლად კონფლიქტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. ალიანსი

აღიარებს, რომ საფრთხე აღარ არის შეზღუდული რომელიმე კონკრეტული ადგილმდებარეობით და მზად არის, გამოეხმაუროს მას, რა დროს და საიდანაც არ უნდა მიმდინარეობდეს ის.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ნატომ პირველად განახორციელა სამშვიდობო ოპერაციები. კერძოდ, ბალკანეთში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) 1995 წელს, კოსოვოში 1999 წელს, მაკედონიაში კი 2001წელს, სადაც იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერალური რესპუბლიკის დაშლის სისხლიანმა კონფლიქტმა სერიოზული საშიშროება წარმოშვა არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საერთო - ევროპული უსაფრთხოებისათვის.

2003 წელს ავღანეთში ნატოს მისიით ალიანსმა დაამტკიცა, რომ მას აქვს უნარი, გაუმკლავდეს პრობლემებს, არა მხოლოდ მისი ტრადიციული პასუხისმგებლობის – ევროატლანტიკურ სივრცეში, არამედ მის მიღმაც.

შემდეგი საკითხი, რომელზეც კვლევის ფარგლებში გამახვილდა ყურადღება არის რესპონდენტთა მოსაზრებების და მათი აზრების გამომჟღავნება სწორედ ნატოს მიდგომებზე კონფლიქტის დარეგულირებასა და პრევენციაში.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თქმით, ნატო აქტიურადაა ჩართული კონფლიქტების დარეგულირებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, თუმცა გამოიკვეთა განსხვავებული მოსაზრებებიც იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრინციპით მოქმედებს ნატო კონფლიქტის დარეგულირებასა და პრევენციაში. კერძოდ, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

„ნატოს წევრ ქვეყნებს სადაც ინტერესი აქვთ, იქ მოქმედებენ უფრო ეფექტურად და იქ ცდილობს ნატოს ჯარები კონფლიქტის ესკალაციას. მაგალითად, რუანდაში როცა იყო გენოციდი, მაშინ აქტიურად განიხილებოდა ის საკითხი, თუ რატომ არ შეიყვანა ნატომ აქ თავისი ჯარები, ეს მოწმობს იმას, რომ გარკვეული ინტერესები მაინც ამოძრავებს ნატოს კონფლიქტის დარეგულირებისას. ეს რომ ყოფილიყო სპარსეთის ყურის ნებისმიერი ისეთ ქვეყანა, სადაც ნავთობი იქნებოდა, ნატოს

*შესაძლოა უკეთესად ემოქმედა. ამიტომ ორგანიზაციული ინტერესები
მაინც თამაშობს დიდ როლს ნატოს მუშაობაში.“*

(მამრობითი, 20 წლის, პოლიტიკოსი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, ორგანიზაციისთვის კონფლიქტის არსი, გეოგრაფიული განლაგება და მისი მასშტაბი მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ეს განსაზღვრავს მისი მოქმედების სტრატეგიას. მათ აღნიშნეს, რომ ნატო რეალიზმის პოლიტიკიდან გამომდინარე, ყოველთვის ერთგვარად ისეთ მნიშვნელოვან კონფლიქტებში, რომლებსაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ნატო-ს წევრ სახელმწიფოთა უსაფრთხოების ხელყოფასა და ზოგადად, საერთაშორისო წესრიგზე. მათი აზრით, ნატო კერძო ინტერესების საფუძველზე მოქმედებს და არა საერთო ჰარმონიულობის დასამყარებლად.

ნატოს როლი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მშვიდობის ესკალაციისთვის

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეებმა ისაუბრეს ნატოს როლის შესახებ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მშვიდობის ესკალაციის საკითხზე. ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები. მონაწილეთა უმრავლესობა თვლიდა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მნიშვნელოვანი როლი მშვიდობის ესკალაციის მიზნით, ნატო-ს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა დაამყარეს.

*„ნატოს წევრი სახელმწიფოთა წარმომადგენლების ჩამოსვლის გარეშე
რუსეთი არანაირ დათმობაზე არ წავიდოდა. რუსეთი გააჩერა იმან, რომ
ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ საქართველოში
და ამით აჩვენეს, რომ საქართველო არ არის მარტო“.*

(მამრობითი, 20 წლის, ისტორიის მიმართულების სტუდენტი)

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმეტესობა აღნიშნავს ნატო-ს როლს საერთაშორისო ასპარეზზე და თვლის, რომ ეს ორგანიზაცია არის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო მასშტაბით, ამ კონკრეტულ საკითხზე - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ქმედებებზე - ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობას ჰქონდა ნეგატიური შეფასებები ნატოს მიმართ:

„ნატო-ს ამ შემთხვევაში პოზიტიურად ვერ მოვიხსენიებ. ნატო-ს შეედლო მოეცა ჩვენთვის MAP და გადმოიყვანათ თავდაცვითი ძალები ჩვენს ქვეყანაში. ეს რომ გაკეთებულიყო რუსეთი ამდენს ვერ გაბედავდა. ნატო-ს ეს მოქმედება ამ დროს რუსეთისთვის იყო მწვანე შუქი, ამას ნატო-ს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებიც აღიარებდნენ. რუსეთმა გააკეთა ის, რაც გააკეთა, გაგვირთულა საქმე და დღესაც გვიჭირს ნატო-ში შესვლა. აქ მნიშვნელოვანი იყო, ის რომ პოლონეთმა და ბალტიის ქვეყნებმა ღიად დაგვიჭირეს მხარი, მათი წარმომადგენლები თბილისში ჩამოვიდნენ და ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ რუსეთმა ვერ გაბედა თბილისზე იერიშის მიტანა. ამას დაემატა ამერიკის როლიც. მან გადმოიყვანა ავღანეთიდან ჩვენი ჯარები და ვაზიანში დააყენა“.

(მამრობითი, 20 წლის, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი)

რესპონდენტთა ნაწილი იხსენებს ნატო-ს ე.წ „დაყვავების პოლიტიკა“-ს და თვლის, რომ ორგანიზაცია ერიდებოდა ურთიერთობის დამაბვას რუსეთთან. აღნიშნავენ, რომ ნატო ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, თუმცა უკვე საკმაოდ გვიანი იყო.

ასევე, რესპონდენტებმა ისაუბრეს ნატო-ს წევრი ქვეყნების პოზიციებზე და განაცხადეს, რომ მათი თავშეკავება და უმოქმედოდ ყოფნა გამოწვეული იყო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფონით, რომელიც აკავშირებდა ევროპულ ქვეყნებს რუსეთთან.

„რუსეთს გერმანია ყოველთვის ახსენებს თავს თავისი გაზით და ეუბნება, რომ ის რადიკალურად მის წინააღმდეგ ვერ წავა. როცა გერმანიაში ზამთარი მოდის, „winter is coming“ ეს ნიშნავს, რომ გერმანია ვერ წავა რადიკალურად რუსეთის წინააღმდეგ.“

(მდედრობითი, 20 წლის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სტუდენტი)

ნატოს გამოწვევები 21-ე საუკუნეში

რესპონდენტებმა ისაუბრეს ნატოს გამოწვევებზე 21-ე საუკუნეში. მათი აზრით, ერთ-ერთი დიდი მტერი, რომელიც ნატოს ჰყავს არის რუსეთი.

რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს სხვა გამოწვევებსაც, როგორცაა: ეკონომიკურად მზარდი ჩინეთი, რომელიც, მათი აზრით, ახლო მომავალში რუსეთზე მეტად საშიში გახდება. ამასთანავე, აღნიშნეს, ტექნოლოგიური განვითარება, რომელშიც მოიაზრეს ის ფაქტი, რომ ჩინეთი საკუთარ მოქალაქეებს აკონტროლებს და აღნიშნეს, ტერორიზმიც.

„დღეს შეიძლება მივიჩნიოთ რომ ჩინეთი „ციფრული ლევიათანია“, რომელიც სრულ კონტროლის ბერკეტებს ფლობს და ავრცელებს თავის მოქალაქეებზე. ამიტომ მისი ჩამოშორება საერთაშორისო ასპარეზიდან მარტივი არ იქნება. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აზიური, ადმოსავლური ფსიქოლოგია კოლექტივისტურია და ასეთი რეჟიმი და კონტროლი დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მაინც რუსეთია ნატოსთვის პირველი საფრთხე, ჩინეთი, რომელიც მოიწევს და ტერორიზმი, რომელიც ნამდვილად დიდ საფრთხეს წარმოადგენს.“

(მამრობითი, 20 წლის, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი)

საბოლოოდ, რესპონდენტთა თქმით, პრობლემა ისევ მოუგვარებელია, წინ ბევრი დაბრკოლებაა გადასალახი და მათთვის წარმოუდგენელია მოვლენათა

განვითარება, ვინაიდან მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად მოულოდნელი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს.

შეხედულებები საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესახებ

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართველოს სამომავლო გეგმებს და ახალგაზრდების შეხედულებებს ნატოში ინტეგრაციის მიმართ. მონაწილეთა უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. ისინი აღნიშნავენ, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, უმნიშვნელოვანესია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება და დასავლურ-ლიბერალური ღირებულებების დაცვა. რესპონდენტთა თქმით, საქართველო რომ იყოს შედარებით წამყვანი, ძლიერი ქვეყანა ან მას ზურგს უმაგრებდეს სხვა ძლიერი სახელმწიფო, მაშინ შესაძლოა საქართველოს მოქალაქენი ნატოში ინტეგრაციის ასეთი აქტიური მომხრეები არ ყოფილიყვნენ. თუმცა დღეს გასაგები უნდა იყოს, რომ სხვა ალტერნატივა, გარდა ნატოში გაწევრიანებისა, საქართველოს არ გააჩნია. ისინი აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო სისტემა ისეა მოწყობილი, რომ თუ ქვეყანას სურს რომ გადარჩეს, უნდა ჰყავდეს მოკავშირე. ამიტომაც ერთადერთი ალტერნატივა ახლა არის დასავლური კურსის აღება. მათი აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნატოში ინტეგრაცია. საქართველოს მეზობელ, მტრულად განწყობილ რუსეთს სუვერენული სახელმწიფოს - საქართველოს, არსებობა და განვითარებაც აღიზიანებს, თუმცა ამის გამო ჩვენ „განუვითარებლები“ არ უნდა დავრჩეთ. საქართველომ უნდა გაატაროს სწორი პოლიტიკა, რათა ნატოში ინტეგრაცია, რომელსაც ასე ვუჭერთ მხარს, სამომავლოდ ქვეყნის განვითარებას არ უშლიდეს ხელს და მეზობელ სახელმწიფოსთან კონფრონტაციაც არ გამოიწვიოს.

„რა თქმა უნდა ვემხრობი საქართველოს ნატოში ინტეგრაციას, რადგან ჩვენ სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ გავაჩნია. საერთაშორისო სისტემა ისეა მოწყობილი, რომ თუ გინდა გადარჩე უნდა გყავდეს

მოკავშირე. ამიტომაც ერთადერთი ალტერნატივა ახლა არის დასავლური კურსის აღება და ნატოში ინტეგრაცია. ჩვენ დასავლური კურსი ავირჩიეთ და უკან დახევა ნიშნავს საბოლოოდ განადგურებას“.

(25 წლის, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი)

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობამ ისიც აღნიშნა, რომ ნატოში ინტეგრაციის მომხრეა, რადგან საქართველო ალიანსში გაერთიანებით უფრო დაცული იქნება. მათ იმაზეც გაამახვილეს ყურადღება, რომ საქართველოსთვის ნატო არ უნდა იყოს ერთადერთი დახმარების გარანტი. მით უფრო იმ ფონზე, რომ გვყავს სერიოზული მეტოქე, ჩრდილოელი მეზობელი სახელმწიფოს სახით, ამასთანავე, საქართველო ჯერ არაა ნატოს წევრი ქვეყანა და რომც იყოს, ჯერ ქვეყანამ საკუთარი თავდაცვის სისტემა უნდა გააუმჯობესოს.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მცირე ნაწილი პესიმისტურად უყურებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხს. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება უბრალოდ შეუძლებელია. ქვეყანამ უნდა შეძლოს მარტო, ნატოს გარეშე „ცხოვრება“.

„ჩვენ ერთი დიდი თამაშის ნაწილი ვართ რეალურად, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები თამაშობენ. ჩვენ კი გვაპამპულავენ. მე მგონია, რომ ნატოში ვერასდროს შევალთ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ნატოს გარეშე ცხოვრება და არ უნდა ვიყოთ ნატოზე დამოკიდებული. მე მინდა, რომ შევიდეთ ნატოში, თუმცა ვფიქრობ, რომ ვერასდროს შევალთ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ნატოშია ხსნა და გამოსავალი, ნატოს გარეშეც უნდა ვისწავლოთ ცხოვრება, მართალია ეს, განსაკუთრებით ახლა ძალიან რთულია, თუმცა შეუძლებელი არაფერია.“

(22 წლის, ისტორიის მიმართულების სტუდენტი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა, რომლებიც საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციას პესიმისტურად უყურებენ, ისიც აღნიშნეს, რომ თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, მას ნატო-ში გაწევრიანების მეხუთე მუხლს, რაც სამხედრო დახმარებას გულისხმობს, არავინ მისცემს. ამ შემთხვევაში ნატოში ინტეგრაცია იქნება ფორმალური პროცესი, რომელიც კიდევ უფრო დაძაბავს რუსეთთან ურთიერთობას. საქართველოს, პირველ რიგში, უნდა ქონდეს საკუთარი თავდაცვის სტრატეგია. რესპონდენტების აზრით, შესაძლოა გვსურდეს ნატოში ინტეგრაცია, თუმცა რეალისტები უნდა ვიყოთ და შორს უნდა ვიხედებოდეთ: „მოგვიტანს კი ნატოში ინტეგრაცია ნანატრ უსაფრთხოებას და დამოუკიდებლობას?!“

საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და გამოწვევები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ძირითად გამოწვევებსა და დაბრკოლებებზე, რომლებიც დღესდღეობით საქართველო ნატოში ინტეგრაციის გზაზე აწყდება. რესპონდენტთა უმრავლესობამ საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად დაასახელა ოკუპირებული ტერიტორიები და ქვეყანაში მიმდინარე ოკუპაცია. ისინი აღნიშნავენ, რომ არ არის დადგენილი საზღვრები, რომელშიც რუსული ოკუპაცია მოექცევა, შესაბამისად, ქვეყნის დასავლელ პარტნიორებსაც არ ეცოდინებათ რუსული ოკუპაციის გავრცელების საზღვრები. მცოცავი ოკუპაციაა ქვეყანაში და ეს ფაქტი ხელს უშლის საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს. ვინაიდან, შეუძლებელია რუსეთის ოკუპაციის საზღვრების დადგენა, რომლის გადმოკვეთის შემდეგ რუსეთი გაფრთხილებას მიიღებს, ისინი თვლიან, რომ ეს ფაქტორი ყოველთვის შეუშლის ხელს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას გამოიკვეთა არის ნატოს წევრების საერთო თანხმობის არქონა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერის შესახებ. ამის მაგალითად მათ

დაასახელეს გერმანიის შემთხვევა. დასავლეთ ევროპაში მდებარე ერთ-ერთი ძლიერი ქვეყანა, გერმანია დამოკიდებულია რუსეთზე და ცალსახად ვერ უჭერს მხარს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს. მონაწილეთა გადმოსახედიდან, მთავარი ფაქტორი თუ რატომაც გაჭიანურდა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი არის, ის , რომ ნატოს წევრ ქვეყნებს ჯერ არ დაუნახავთ საქართველოს ალიანსში გაწევრიანების საჭიროება. მათი აზრით, თუ დასავლეთი ამის საჭიროებას ვერ დაინახავს, ნატოს წევრი საქართველო ვერასდროს გახდება და ეს პროცესიც უსასრულოდ გაგრძელდება.

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შემდეგ არსებული მოლოდინები ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ისაუბრეს ნატოში ინტეგრაციის შემდეგ არსებულ მოლოდინებზეც საქართველოს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით. მათ ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ საქართველოში ძალიან ცუდი ეკონომიკური მდგომარეობაა. მათი აზრით, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ინვესტიციები, თუმცა ამ უკანასკნელს აფერხებს ქვეყნის გაყინული კონფლიქტი რუსეთთან, მცოცავი ოკუპაცია და რეგიონის არასტაბილურობა. სწორედ ამიტომ, აქ ინვესტორები ინვესტიციის ჩადებას ძალიან უფრთხიან, რაც აისახება კიდევ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. მათი აზრით, ამ ვითარებიდან გამოსავალი არის ნატოში ინტეგრაცია, რომელიც ჯერ საქართველოს უსაფრთხოებას გააძლიერებს და შემდეგ ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც შეეხება პოლიტიკური სისტემის განვითარების საკითხს, ისინი თვლიან, რომ ნატო

შიდასახელმწიფოებრივ საკითხებში არ ერევა და ეს დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების სწორი პოლიტიკის გატარებაზე.

„მე მიმაჩნია, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების პირველივე დღიდან საქართველოს ეკონომიკა დაიწყებს სერიოზულ ზრდას. აქ მარტივია ბიზნესის კეთება, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით მე-7 ადგილზე ვართ. ჩვენი დიდი ნაკლი არის ის, რომ არ ვართ სამხედრო თვალსაზრისით ძლიერები. ამიტომაც ინვესტორს ძალიანაც რომ უნდოდეს აქ ინვესტიციის ჩადება, ის ითვალისწინებს ჩვენი მეზობელი აგრესორის გავლენას და ერიდება ამას, რაც შეეხება პოლიტიკური სისტემის გაუმჯობესების საკითხს, აქ ნატო არ ერევა და არც ჩაერევა. ამისთვის სწორი პოლიტიკის გატარებაა საჭირო“.

(მდედრობითი, 28 წლის, ეკონომისტი)

ფოკუსს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია ქვეყანას დაეხმარება მხოლოდ თავდაცვის კუთხით. მათ აღნიშნეს, რომ ნატო ვერ შეძლებს ყველაფრის დარეგულირებას. ალიანსში ინტეგრაციით უცებ ვერ გადაიჭრება ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს საქართველოს აქვს. ალიანსში ინტეგრაციით მივიღებთ თავდაცვის მიმართულებით ბენეფიტებს, თუმცა დანარჩენი - საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

„ნატო არ არის პანაცეა. ნატოში გაწევრიანებით პირველ რიგში მივიღებთ შედარებით თავდაცვის კუთხით ბენეფიტებს. ნატო ხელისუფლების საქმეში არ ერევა, ის მაინც სამხედრო ორგანიზაციაა. ის ფაქტი, რომ უცებ მიგვიღოს ნატომ და მეორე დღეს გავიღვიძოთ გაბრწყინებულ იბერიაში, ასე ნამდვილად არ იქნება. ჩვენი ხელისუფლების, ოპოზიციის სწორი მოქმედებით მივაღწევთ ქვეყნის განვითარებას, ამაში ნატო ჩვენ ვერ დაგვეხმარება“

(მამრობითი, 26 წლის, ჟურნალისტი)

ნატოს პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა ინფორმირებულია ნატოს პროგრამების შესახებ. ისინი აღნიშნავენ, რომ საქართველოს ამ პროგრამებში აქტიური ჩართულობა ალიანსში ინტეგრაციის პროცესს უფრო აჩქარებს. რესპონდენტების თქმით, საქართველოსთვის სამხედრო მისიებში მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია ნატოში გაწევრიანების გზაზე.

„ვფიქრობ, რომ ეს პროგრამები და მასში აქტიურად ჩართვა აძლევს საქართველოს ნატოსთან დაახლოების კარგ საშუალებას. საქართველო ამ პროგრამებში აქტიურად ერთვება და ეს ნატოში გასაწევრიანებლად გადადგმული სერიოზული ნაბიჯია“.

(მდედრობითი, 24 წლის, ჟურნალისტი)

ნატოში ინტეგრაციის შემდეგ ქვეყნის თვითმყოფადობისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებაც მონაწილეები საუბრობდნენ იყო თვითმყოფადობა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ნატოში ინტეგრაციით ქვეყნის ეროვნულობასა და თვითმყოფადობას საფრთხე არ ემუქრება. ისინი თვლიან, რომ ეს არის გავრცელებული ულტრამემარჯვენე, რუსული პროპაგანდის ნაწილი. მათი აზრით, იდენტობის დაკარგვა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შიდა ფარგლებში შეიძლება მოხდეს. რესპონდენტები თვლიან, რომ რაც არ უნდა ეცადოს სხვა სახელმწიფო საქართველოს ეროვნული იდენტობის შეცვლას, ამას მაინც ვერ შეძლებს თუ ქართველი ერი არ მისცემს ამის საშუალებას. ამის მაგალითად მათ მოიყვანეს იაპონია, რომელსაც რამდენიმე წლიანი ისტორია აკავშირებს დასავლეთთან, თუმცა მას არ დაუკარგავს ეროვნული იდენტობა, კულტურა და სხვა სპეციფიკური სახელმწიფოებრივი ღირებულება.

„ვერავინ ვერაფერს ვერ წაგართმევს თუ არ გინდა. ტერიტორია შეიძლება წაგვართვან, სახლი შეიძლება წაგართვან, ნივთი მოგპარონ, თუმცა რაც შენშია, ეროვნული თვითმყოფადობა, ჩემი ღირებულებები არ არის ისეთი რაღაც, რომ ვიღაც მოვიდეს ამოიღოს ჩემგან და წაიღოს. მაშინ უნდა მომკლას. ამომაცალოს ტვინი და მორჩა. ამას ვერავინ ვერ გააკეთებს, თუ ჩვენ არ მოვისურვებთ“.

(მამრობითი, 29 წლის, ისტორიკოსი)

მათ ისიც აღნიშნეს, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) ძალიან ეხმარება საქართველოს მისი ისტორიისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. რესპონდენტთა თქმით, საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, წლების განმავლობაში ქვეყნის თვითმყოფადობის დაკარგვის ინტერესები ჰქონდა რუსეთს, ირანს, თურქეთს, თუმცა დასავლეთისგან ასეთი მესიჯები არასდროს არ ყოფილა და არც ახლა არის.

„საქართველო არის ევროპის ნაწილი. ევროპა და აზია, როგორც ცალკე აღებული კონტინენტი არ არსებობს, ეს არის ცხოვრების ნირი, მენტალიტეტი, რაც გამოყოფს ევროპას და აზიას. ჩვენი გაწევრიანება ნატოში, ევროკავშირში არის ჩვენი დაბრუნება სახლში. ჩვენ ვართ ევროპელები და ჩვენ მივისწრაფვით ევროპისკენ. მორჩა!“

(მამრობითი, 28 წლის, პოლიტიკის მეცნიერი)

დასკვნა

კვლევის მიხედვით, მონაწილეთა უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესს. მათი აზრით, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება, რადგან ნატო ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიაა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, საქართველო ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე მუდმივად აწყდება სირთულეებს, მათ შორის არის ,

ოკუპაციის პრობლემა, ეკონომიკური არასტაბილურობა, სიღარიბე, დასაქმების პრობლემა.

მათ აღნიშნეს, რომ ნატოს როლი საერთაშორისო ასპარეზზე უმნიშვნელოვანესია, გამომდინარე ორგანიზაციის მიზნებიდან, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო მშვიდობის დამყარებას. ნატო აქტიურადაა ჩართული კონფლიქტების დარეგულირებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

ასევე, მათ გაამახვილეს ყურადღება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომსა და ნატოს უშუალო ჩართულობაზე ომის პროცესში. უმრავლესობამ მკაფიოდ გამოხატა საკუთარი ნეგატიური შეხედულება ნატო-ს როლზე, რაშიც იგულისხმეს ნატო-ს დაგვიანებული რეაგირება და „დაყვავების პოლიტიკის“ გატარება რუსეთთან.

რაც შეეხება ნატო-ს გამოწვევებს 21-ე საუკუნეში, მათი აზრით, დღეს ნატო რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რომლებიც შემდეგი თანმიმდევრობით წარმოადგინეს: 1- რუსეთი , 2 - ტერორიზმი, 3 - ჩინეთი - „ციფრული ლევიათანი“, 4 - ირანი - ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანა.

მათ ისაუბრეს მოლოდინებზე საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით, ისინი საუბრობენ, რომ ნატო „უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებას უზრუნველყოფს, ის არ ჩაერევა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ სისტემაში, თუმცა ,თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება რესპონდენტთა ინფორმირებულობას ნატო-ს პროგრამებისა და სამშვიდობო მისიების შესახებ, უმეტესობა ინფორმირებულია ამ პროგრამების შესახებ და მხარს უჭერს ასეთი პროგრამების განხორციელებას, ასევე მასში აქტიურად ჩართვას ქვეყნის მხრიდან.

რესპონდენტთა თქმით, ხშირია ისეთი სტერეოტიპები, რომლებიც უკავშირდება საქართველოს ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის

დაკარგვას ნატო-ში ინტეგრაციით. მათი აზრით, ეს არის სრული აბსურდი, ვინაიდან ღირებულებების გადაფასება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის შიგნიდან, რომლის წყარო არის საზოგადოება.

საბოლოო ჯამში, რესპონდენტებს აქვთ პოზიტიური მოლოდინები საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მიმართ და იმედოვნებენ, რომ ქვეყანა სამხედრო მისიებში აქტიური ჩართულობითა და ნატო-ს პროგრამებში მონაწილეობით, აუცილებლად მიაღწევს მიზანს და გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკობია, ე. (2016). საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, თბილისი: „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“. 55-62
2. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი - „საზოგადოებრივი აზრის კვლევა 2018“
<https://www.ndi.org/publications/results-december-2018-public-opinion-polls-georgia> (ნანახია 06.10.2020)
3. კავკასიის კვლევითი ცენტრი - მონაცემთა ბაზები („კავკასიის ბარომეტრი“)
<https://caucasusbarometer.org/ge/datasets/> (ნანახია 06.12.2020)
4. მალრაძე, გ. , მაისაია, ვ. (2017). 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები. თბილისი: „გამომცემლობა უნივერსალი“. 43-53
5. საქართველო და ნატო - საინფორმაციო ცენტრი
<http://old.infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/> (ნანახია 05.12.2020)
6. წულაძე, ლ. (2020). სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თბილისი: „უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 100-110